

დავით ღიბრაძე - CV

დაიბადა 1966 წლის 17 მაისს ქ. თერჯოლაში.

1983 წელს დაამთავრა თერჯოლის №1 საშუალო სკოლა წარჩინებით.

1984 წელს დაამთავრა თერჯოლის №87-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი წარჩინებით.

1984-85 წლებში მუშაობდა თერჯოლის სასურსათო კომბინატსა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო სამმართველოში მუშად.

1985 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1992 წელს წარჩინებით.

1985-87 წლებში იმყოფებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1992-1999 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თერჯოლის ქვეგანყოფილების გამომძიებლად და უფროს გამომძიებლად.

ამავე პერიოდში მუშაობდა ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკურ უნივერსიტეტში ასისტენტად კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის კათედრაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 7 მაისის №278 ბრძანებულებით დაინიშნა თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 15 მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 22 მაისის №497 განკარგულებით დაინიშნა თერჯოლის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს პრეზიდენტის №179 განკარგულებით, 2004 წლის 29 თებერვლიდან, ამავედროულად მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 3 მაისის №324 განკარგულებით დაეკისრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, რაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 28 ივლისის განკარგულებით.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 ივლისის №509 ბრძანებულებით დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ და გამწესდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

2010 წლის ივნისიდან 2011 წლის თებერვალამდე დაკისრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საჭოს 2011 წლის 31 ოქტომბრის №1/160 გადაწყვეტილებით 2011 წლის 7 ნოემბრიდან მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებული იყო გარდაბნის რაიონულ სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საჭოს 2012 წლის 7 სექტემბრის №1/157 გადაწყვეტილებით მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებული იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საჭოს 2012 წლის 28 ნოემბრის №1/351 გადაწყვეტილებით 2013 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საჭოს 2012 წლის 7 სექტემბრის №1/157 გადაწყვეტილება რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინების შესახებ და 2013 წლის 1 იანვრიდან დ.ლიბრაძე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

2015 წლის 1 ოქტომბერს დ.ლიბრაძე გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

დ.ლიბრაძე არის სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის პრაქტიკული რეკომენდაციების თანაავტორი. (გამომცემელი საქართველოს უზენაესი სასამართლო).

2011 წლიდან არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი და კითხულობს ლექცია/სემინარებს საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში.

2016 წლის იანვრიდან მუშაობს შპს „TRADE STONE IBERIA“-ში იურისტის თანამდებობაზე.

2018 წლის ოქტომბრიდან მუშაობს შპს „საბა & ლუკა“-ს იურისტის თანამდებობაზე.

2018 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, სპეციალიზაცია საერთო.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.